MIGRATION PROCESSES IN THE PRINCIPALITY OF MINGRELIA IN THE FIRST HALF OF XIX CENTURY

მიგრაციული პროცესები სამეგრელოს სამთავროში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

Vazha Lordkipanidze
The member of National Academy of Sciences
ORCID ID: 0000-0002-4111-3170
ikhomeriki@hotmail.com

Bezhan Khorava
PhD in History,
The University of Georgia, Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
ORCID ID: 0000-0001-2345-6789
bxorava@ug.edu.ge +995599272149

Davit Chitanava
PhD in History,
The institute of History and Ethnology Ivane Javakhishvili State University
ORCID ID: 0000-0002-2610-2094
davit.chitanava@tsu.ge; +995555394391

Abstract

Researching the dynamic of the ethno-demographic processes of Georgia is important in Georgian historiography as this topic has a special significance in terms of presenting one episode of the historical-ethnographic parts of the country - Mingrelia and Abkhazia as it provides very interesting information about ethnic processes.

The study is based on newly identified document sources kept in the archival materials. It complements the narrative source about the plague epidemic and famine spread at the beginning of the XIX century which caused the migration of one part of the population. The dynamic of the migration processes resulted in the pandemic and famine in Georgia has never been reported in any historical documents before. In addition, this issue has not been discussed in Georgian and Abkhazian historiography.

The work refers to peasants' escape from one landed estate of Mingrelia Principality to another, from Odishi to Samurzakano while breaking out a plague from Akhaltsikhe Pashalik throughout Georgia, in 1811. Particularly, in the work, which is based on unpublished material, is reviewed the statement by Davit Dadiani (1846-1853), the principle of Mingrelia about returning those peasants who ran away from Odishi to Samurzakano while ranging a plague, famine and crop failure in 1811-1812. The statement is followed the list of the peasants that includes 70 surnames but the accurate number of escaped peasants from Odishi to Samurzakano is hard to get clear as it includes the whole families. Finding such

documentary recourses are featured with a great importance to study ethno-demographic processes. Also, they supply the information about the policy adopted by authorities to prevent the peasants' massive migration. Moreover, the list is very compelling in term of researching social relations and onomastic.

Key words: Mingrelia, Abkhazia, Odishi, Samurzakano, starvation, infectious diseases, migrations, surnames.

ვაჟა ლორთქიფანიძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აკადემიკოსი
ORCID ID: 0000-0002-4111-3170
ikhomeriki@hotmail.com

ბეჟან ხორავა
ისტორიის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის
სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
ORCID ID: 0000-0001-2345-6789
bxorava@ug.edu.ge; +995599272149

დავით ჭითანავა
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ORCID ID: 0000-0002-2610-2094
davit.chitanava@tsu.ge; +995555394391

აბსტრაქტი

საქართველოს ეთნო-დემოგრაფიული პროცესების დინამიკის კვლევა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტად აქტუალურია. ეს თემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ისტორიული მხარეების, სამეგრელოსა და აფხაზეთის, ისტორიული წარსულის წარმოსაჩენად, რადგან მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს დროის ამა თუ იმ მონაკვეთში ეთნიკური პროცესების მიმდინარეობის შესახებ.

კვლევა ემყარება ახალგამოვლენილ საარქივო მასალებს, რომლებიც ავსებენ ნარატიული წყაროების ცნობებს XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემიისა და შიმშილობის შესახებ, რამაც მოსახლეობის ერთი ნაწილის მიგრაცია გამოიწვია. შავი ჭირის ეპიდემიისა და შიმშილობის შედეგად მიგრაციული პროცესების დინამიკა აქამდე საგანგებოდ არ ყოფილა გაანალიზებული. გარდა ამისა, ეს საკითხი ქართულ და აფხაზურ ისტორიოგრაფიაში არ ყოფილა განხილული.

სტატია ეხება 1811 წელს ახალციხის საფაშოდან თითქმის მთელ საქართველოში შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებისას და შემდეგ გლეხების გაქცევას სამეგრელოს სამთავროს ერთი კუთხიდან მეორეში, ოდიშიდან სამურზაყანოში. კერძოდ, ნაშრომში, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი საარქივო მასალების საფუძველზე წარმოდგენილია 1811-1812 წწ. შავი ჭირის

ეპიდემიის, მოუსავლიანობისა და შიმშილობისას და შემდეგ, ოდიშიდან სამურზაყანოში გადასახლებულთა სია, რომელიც ერთვის სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის (1846-1853 წწ.) მოთხოვნას, გაქცეულთა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების შესახებ. სიაში შეტანილია 70 გვარსახელი, თუმცა ოდიშიდან სამურზაყანოში გაქცეულთა რაოდენობის ზუსტად გარკვევა ძნელია, რადგან მასში კომლებიც არის შეტანილი, მათი რიცხობრივი შემადგენლობის დაზუსტება კი პირდაპირი მონაცემების არარსებობის გამო შეუძლებელია. მსგავსი დოკუმენტური წყაროების გამოვლენას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ეთნო-დემოგრაფიული პროცესების შესასწავლად, ის ასევე გვაწვდის ინფორმაციას იმ პერიოდის სახელმწიფო აპარატის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე გლეხთა მასობრივი მიგრაციის შესაჩერებლად. ასევე, სია მნიშვნელოვანია სოციალური ურთიერთობებისა და ონომასტიკის კვლევის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: სამეგრელო, სამურზაყანო, აფხაზეთი, შავი ჭირის ეპიდემია, გლეხთა გადასახლება, გვარსახელები.

შესავალი

ეთნო-დემოგრაფიული პროცესების შესასწავლად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტურ მასალას _ საისტორიო ნაშთს, რომელიც სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირების პროცესში იქმნება. სწორედ ასეთია ჩვენ მიერ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში მოძიებული საბუთები, რომლებსაც წინამდებარე პუბლიკაცია ემყარება.

მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში აპრობირებული მეთოდები, მათ შორის, ისტორიული შემეცნების, სისტემური, კომპლექსური და კომპარატივისტული კვლევის; წყაროების გამოვლენის, შერჩევის, კრიტიკული ანალიზის და სხვა მეთოდები. ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძვლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია ისტორიზმის პრინციპი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, საკითხი სხვადასხვა ისტორიული მოვლენების დინამიკაში შევისწავლოთ.

შედეგები

სტატიაში, ახალი საარქივო მასალების საფუძველზე გამოვლენილია 1811-1812 წლებში გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემიის დროს და შემდეგ სამეგრელოს სამთავროს ერთი კუთხიდან მეორეში, ოდიშიდან სამურზაყანოში გადასახლებულ გლეხთა სია, რომელიც ერთვის სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის თხოვნას კავკასიის მეფისნაცვლისადმი ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში მათი დაბრუნების თაობაზე. ეს დოკუმენტური მასალა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყაროა XIX საუკუნის სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების ეთნო-დემოგრაფიული და ეთნოგენეტიკური სურათის წარმოსაჩენად და მიგრაციული პროცესების

კვლევისათვის. ნიშანდობლივია, რომ სამურზაყანო სამეგრელოს სამთავროს ორგანული ნაწილი იყო, ვიდრე 1840 წელს რუსეთის ხელისუფლებამ არ ჩამოართვა ის სამეგრელოს მთავარს და აქ რუსული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული შექმნა, მოგვიანებით კი, 1866 წელს, აფხაზეთს შეუერთა.

მსჯელობა

საქართველოს ერთი მხარიდან მეორეში ან ერთი მხარის შიგნით გლეხთა იძულებით თუ ნებით გადასახლების შემთხვევები ცნობილია გვიანი შუა საუკუნეებიდან. უფრო მეტად დანაშაულში მხილებული გლეხები გარბოდნენ. ფრიად ფართო ხასიათი ჰქონდა მემამულეებისაგან გლეხების აყრა-გაქცევას, რაც ანტიბატონყმური ბრძოლის ფორმა იყო. ასეთ შემთხვევაში, გლეხის მიზანი იყო გასცლოდა მებატონის სისასტიკეს, მძიმე ფეოდალურ ვალდებულებებს და სხვაგან ეძებნა თავშესაფარი. გლეხთა აყრა-გაქცევა სხვა მიზეზითაც ხდებოდა, მაგალითად: სტიქიური უბედურების, მოუსავლიანობის, ეპიდემიის, ომიანობის და სხვა მიზეზით. აყრა-გაქცევა გლეხისთვის არ იყო ადვილი. ის ტოვებდა შეგუებულ გარემოს და მისთვის უცნობი მომავლის შესახვედრად მიდიოდა.

1810 წლის ივნისში იმერეთში აჯანყება დაიწყო, რომელსაც ახალციხის საფაშოდან დაბრუნებული სოლომონ II (1789-1810 წწ.) მეთაურობდა. რუსეთის ჯარის ნაწილებმა ნოემბერში აჯანყება ჩაახშვეს და სოლომონ მეფე ისევ ოსმალეთში გადაიხვეწა (გურული, 2017: 227-229). აჯანყების გამო ყანები დაუთესავი დარჩა, რადგან ხალხი ბრძოლის ველზე იყო გასული. რაც დაითესა, ნიაღვრებმა წალეკა. ამის გამო 1811 წელს იმერეთში შიმშილობა დაიწყო (ბოროზდინი, 1903). ამას სხვა უბედურებაც დაერთო. 1811 წლის მიწურულს საქართველოში ახალციხის საფაშოდან შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა, რომელმაც თითქმის მთელი ქვეყანა, მათ შორის დასავლეთ საქართველოც მოიცვა (სოსიაშვილი, 2021: 96-98). ეს უბედურება 1812 წლის შემოდგომამდე გაგრძელდა. როგორც რუსი მოხელე, მემუარისტი კორნილი ბოროზდინი (1828-1896 წწ.) აღნიშნავდა, შიმშილითა და ჟამით ბევრი მოსწყდა. სიცოცხლით სავსე ქვეყანა გაპარტახდა (ბოროზდინი, 1903). იმ დროს საქართველოში არსებულ ვითარებაზე ქართველი პოეტი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846 წწ.) წერდა: ,,გრაფ გუდოვიჩის უიღბლო ლაშქრობას ახალქალაქსა და ერევანზე, გენერალ ტორმასოვისა _ ახალციხეზე და შემდგომ სპარსელთა შემოსევას, რომელთა თარეში თითქმის ტფილისს აღწევდა, მძიმე შედეგები მოჰყვა: ჯერ ერთი, ამ ლაშქრობათა დროს სამხედრო ტრანსპორტისათვის საქონლის უწესრიგოდ გამოყვანამ ყველგან აუარებელი რქოსანი პირუტყვი იმსხვერპლა. მეორეც, 1811 და განსაკუთრებით 1812 წელს იშვიათი შიმშილის გამო, ხალხი ტყე-ღრეში დაძრწოდა და ბალახ-ბულახით იკვებებოდა“ (ჭავჭავაძე, 1986: 219). ისეთი მძიმე ვითარება შეიქმნა, რომ ხალხი რკოსა და ვაზის რტოებს ფქვავდა, ხის ძირებითა და ბალახით იკვებებოდა (ბერძენიშვილი და სხვ. 1958: 409). შიმშილობასა და შავი ჭირის ეპიდემიას დასავლეთ საქართველოში დიდი მსხვერპლი მოჰყვა. მხოლოდ იმერეთში, ერთი წლის განმავლობაში, 32 750

კაცი გარდაიცვალა, ხოლო 7 450 კაცი სხვა ადგილებში გადასახლდა, 2 ათასი სული ტყვედ გაიყიდა (ბერძენიშვილი და სხვ., 1958: 409).

რთული ვითარება შეიქმნა სამეგრელოს სამთავროში, სადაც ხალხი სამურზაყანოსა და აფხაზეთში გარბოდა და ცდილობდა თავი გადაერჩინა. ქართველი ისტორიკოსის ნიკო დადიანის (1764-1834 წწ.) ცნობით, ,,გაჩნდა იმერეთსა შინა ოდიშსა და გურიასა საშინელი მომსრველი სენი (ესე იგი ჟამი) და ამასთან საშინელი და საკვირველი სიყმილი, რომელ უთვალავნი მოისრნენ და მრავალნი განიბნენ, კნინღა და შუა გაიყო ყოველნი ქვეყანანი ესე ზემოხსენებულნი, და მრავალნი წარვიდენ აფხაზეთად, ვინათგან აფხაზეთსა შინა არა იყო წელსა მას სიყმილი და არცა იგი მომსრველი სენი. და განგრძელდა ესევითარი რისხვა ღვთისა ორსა წელსა და შემდგომად გარდვიდა, გარნა ქვეყანანი მრავალნი და სოფელნი დაშთენ ოხრად“ (დადიანი, 1962: 203).

ცოტა ხანში, აფხაზებმა შეხიზნულების ტყვედ გაყიდვა დაიწყეს. სამურზაყანოს მფლობელმა მანუჩარ შარვაშიძემ, რომელიც ამ მხარის სარდალ-მოურავად დაახლ. 1809 წელს დანიშნა სამეგრელოს მთავარმა და ,,ყოველი სამურზაყანო მიათვალა და მიაბარა საუფროსოდ და საგამგებლოდ“, ლევან V დადიანს (1805-1840 წწ.) წესრიგის დასამყარებლად აფხაზეთში გალაშქრება ურჩია: ,,თუ ახლავე არ უშველეთ, ტყვეები დაიყიდაო და კიდევ მრავალი დაიკარგებაო“ (ისტორიული დოკუმენტები, 1953: 136).

იმერეთიდან და სამეგრელოდან აფხაზეთში გადახვეწილების ერთი ნაწილი ლევან V დადიანმა თავისი ბოქაულების მეშვეობით დააბრუნა, მაგრამ ოდიშიდან გაქცეულები სამურზაყანოსა და აფხაზეთში კიდევ ბევრი დარჩა (ხორავა 2007: 220). გლეხთა გაქცევა სამურზაყანოში შემდეგ წლებშიც გაგრძელდა.

1840 წლის თებერვალში რუსეთის ხელისუფლებამ სამურზაყანო, ტერიტორია მდ. ენგურსა და მდ. ღალიძგას შორის, სამეგრელოს მთავარს ჩამოართვა და აქ უშუალო რუსული მმართველობა შემოიღო (ხორავა 1996: 180). გლეხთა გაქცევა სამეგრელოს სამთავროდან სამურზაყანოში კვლავ გრძელდებოდა. პროფესორ დიმიტრი ლემონჯავას დაკვირვებით, 1838-1839 წლებში ოდიშიდან სამურზაყანოში გაქცევის 9 შემთხვევა იყო, 1840-1842 წლებში _ 48, ხოლო მხოლოდ 1843 წელს - 29 შემთხვევა (ლემონჯავა, 1957: 21). ამდენად, გლეხთა სამურზაყანოში გაქცევის დინამიკა მზარდი იყო.

შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებიდან ოცდახუთი წლის შემდეგ, 1847 წლის 3 აგვისტოს, სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა (1846-1853 წწ.) კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს (1844-1854 წწ.) წერილით მიმართა. წერილში დავით დადიანი აღნიშნავდა, რომ მის ქვეშევრდომებსა და სამურზაყანოელებს შორის წარმოიშობოდა დავები იმ გლეხების გამო, რომლებიც სამეგრელოს სამთავროდან სამურზაყანოში გარბოდნენ. ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში მათი დაბრუნების თაობაზე მთავარს შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსისთვის მიუმართავს, რადგან სამურზაყანო მის დაქვემდებარებაში შედიოდა. მაგრამ შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსს მთავრის სამართლიანი მოთხოვნა გლეხთა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების შესახებ უყურადღებოდ

დაუტოვებია. დავით დადიანი აღნიშნავდა, რომ ასეთი უყურადღებობის გამო, მისდამი დაქვემდებარებული რამდენიმე გლეხის ოჯახი, ყოველგვარი შიშის გარეშე, უკანასკნელ წლებში კიდევ გადავიდა და დამკვიდრდა სამურზაყანოში. დავით დადიანის აზრით, სამეგრელოს სამთავროდან სამურზაყანოში გაქცეული გლეხები ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებს დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებოდნენ (ფონდი 4: 4-6). სამეგრელოს მთავრის წერილს ერთვოდა სხვადასხვა დროს სამურზაყანოში გაქცეული გლეხების ვრცელი სია (ფონდი 4: 11-14).

სიაში ჩამოთვლილია გლეხები სამეგრელოს სამთავროს სოფლებიდან _ ზუგდიდი, ცაიში, ხეთა, ნოჯიხევი, აბასთუმანი, ხორგა, ხიბულა, ჭაქვინჯი, ყულისკარი, ლედგებიე, საჭყონდიდლო, სენაკი, ბანძა, ჯოლევი, თეკლათი.

სიაში დასახელებული სოფლები კარგად არის ცნობილი, ისინი დღესაც არსებობს. გამონაკლისია მხოლოდ ლედგებიე და საჭყონდიდლო. ლედგებიეს 1930 წელს ოდიში ეწოდა (ცხადაია, 2007: 43). რაც შეეხება საჭყონდიდლოს, XIX საუკუნეში ასე ეძახდნენ სოფელ ონტოფოს, მდინარეებს ნოღელასა და აბაშას შორის, მათ ჭალაში. აქ იყო ჭყონდიდელის სასახლე და სოფელსაც საჭყონდიდლოს ეძახდნენ (ელიავა, 1977: 14).

დასახელებული 15 სოფლიდან სიაში 70 სახელია შეტანილი.

სამეგრელოს მთავარს საკმაოდ ზუსტი ინფორმაცია ჰქონია როდის და სად გაიქცა გლეხი და ვის შეაფარა თავი. სოფელ ზუგდიდიდან კვაჯი ფაჟავა ათი წლის წინ გადასულა სამურზაყანოში და მთელი თავისი ოჯახით თავად მანუჩარ თემურყვას ძე ანჩაბაძესთან იმყოფებოდა. სოფელ ცაიშიდან ორი ძმა ვართაგავა ოთხი წლის წინ გაქცეულა და სოფელ ოტობაიაში თავად თადა თლაფსის ძე ანჩაბაძეს მინდობია; იმავე სოფლიდან უტუია ქირიას ორი ვაჟი ხუთი თვის წინ გაქცეულა და ზურაბ ზვანბაიასთან იმყოფებოდა. ზოგიერთი გლეხი მთელი ოჯახით იყო გაქცეული. სოფელ ხიბულადან გაქცეული ხუთი კომლი ღურწკაია მთელი ოჯახით სოფელ საბერიოში ჩქოტუებს შეფარებია; სოფელ ყულისკარიდან გაქცეული კიკოია გვილია რვა წლის წინ გაქცეულა ოჯახთან ერთად და სოფელ ოქუმში, ბოლიხუხუ ემუხვარს მინდობია. სოფელ ლედგებიედან გაქცეული გლეხი ვატა ფარცვანია სოფელ მუხურში ერისთუ ანჩაბაძესთან იმყოფებოდა. მას მიუტოვებია კანონიერი ცოლი, სხვაზე დაქორწინებულა და მაჰმადიანობა მიუღია ოთხი წლის წინ. მისი კანონიერი ოჯახი სოფელ ცხირში აზნაურ მახუ ლაკირბაიასთან ცხოვრობდა. გაქცეულებს შორის იყვნენ არა მარტო საბატონო გლეხები, არამედ ერთი საეკლესიო გლეხიც. სოფელ ხორგიდან საეკლესიო გლეხი სიმონიკა სამი წლის წინ გაქცეულა და ხუხულობა ანჩაბაძესთან იმყოფებოდა.

სამურზაყანოში გაქცეულ გლეხთა ერთი ნაწილი ოცდახუთი წლის წინ იყო გადასული ამ მხარეში. გლეხი პაატია ცომაია სოფელ საჭყონ-დიდლოდან შავი ჭირის ეპიდემიიდან სულ მალე გადასახლებულა სოფელ ოქუმში, სადაც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა; ერთი კომლი მაკალათია 1812 წლიდან ცხოვრობდა სოფელ გუდავაში. 12 სული სიგუა, სოფელ ბანძიდან, შავი ჭირის გავრცელებიდან სულ მალე გადასულა სოფელ ნაბაკევში მურზაყან და თადა ანჩაბაძეებთან; ხუთი სული კაკულია, სოფელ ჯოლევიდან, 1813 წლიდან სოფელ ტყვარჩელში იმყოფებოდა.

გაქცეულ გლეხებს შორის სახელის შეცვლის შემთხვევებიც ყოფილა. სოფელ ხიბულადან ორი წლის წინ გაქცეული კიკოია მიქანძე ხიტუ ანჩაბაძის შვილებთან იმყოფებოდა, მაგრამ იქ ტაგუს ეძახდნენ.

სამურზაყანოში გაქცეულთა შორის ყმა ქალებიც იყვნენ. აზნაურ ანჯაფარიძის ქალი, სახელად კვაჯი, სოფელ ჯოლევიდან, კოჩა ნარმანიასთან იმყოფებოდა; გიგოია ანჯაფარიძის ქალი, არც თუ დიდი ხნის წინ გადასულა სამურზაყანოში და ლევან შარვაშიძის გლეხს, ჯურუმია თორიას იყო მინდობილი.

სამურზაყანოში გაქცეულთა სიაში ერთი ებრაელიც არის. სოფელ სენაკის მცხოვრები მოშე ებრაელი 7 წლის წინ გაქცეულა სამურზაყანოში და შვილთან ერთად იმყოფებოდა გიორგი ჯამულეთის-შვილთან.

ოდიშიდან სამურზაყანოში გაქცეულთა რაოდენობის ზუსტად გარკვევა ძნელია, რადგან სიაში კომლებიც არის შეტანილი. მაგალითად: ერთი კომლი ტურავა სოფელ ეწერში, თავად ხიტუ ანჩაბაძის შვილებთან ცხოვრობდა; ორი კომლი _ ვაღურია და გაჩი გერგაიები გაქცეულან და თავად როსტომ ემუხვარს მინდობიან. ლევან V დადიანს (1805-1846 წწ.) ისინი გამოუხსნია, მაგრამ კვლავ გაქცეულან და სოფელ ოქუმში ბოლიხუხუ ანჩაბაძესთან და სესირყვა ანჩაბაძის შვილებთან იმყოფებოდნენ. ოდიშიდან სამურზაყანოში გაქცეულ გლეხთა რაოდენობა, სიის მიხედვით, დაახლოებით, ორასამდე აღწევდა.

კავკასიის მეფისნაცვალმა დავით დადიანის წერილი 1847 წლის 3 აგვისტოს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს გადაუგზავნა და სთხოვა შესაბამისი ზომები მიეღო (ფონდი 4: 1).

დავით დადიანის წერილის მიღების შემდეგ, კავკასიის მეფისნაცვალმა 1848 წლის 26 აპრილს წერილით მიმართა შავი ზღვის სანაპირო ხაზის მესამე განყოფილების უფროსს, გენერალ-მაიორ გოგენბახს, რომ სამურზაყანოში გაქცეული გლეხების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ დაბრუნებული არ იყო მათ უწინდელ საცხოვრებელ ადგილებში და სთხოვა ამის თაობაზე დავით დადიანთან შეთანხმებულად ემოქმედა. ამის შემდეგ, გოგენბახმა 26 მაისს დავით დადიანს წერილით მიმართა და სთხოვა ეცნობებინა მისთვის, გაქცეული გლეხებიდან ვინ არ იყო დაბრუნებული სამეგრელოში. ამასთანავე, მან დავით დადიანს აუწყა, რომ რადგან სამურზაყანო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის დაქვემდებარებაში გადადიოდა, საკანცელარიო საქმე სამურზაყანოში გაქცეული გლეხების შესახებ მან ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს გადაუგზავნა. ამიერიდან, სამეგრელოს მთავარს ამ საქმეზე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისთვის უნდა მიემართა (ფონდი 4: 19-20).

მალე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი კონსტან-ტინ ბელიავსკი (1847-1851 წწ.) ამ საკითხზე დავით დადიანს დაუკავშირდა. მისი აზრით, სამეგრელოს სამთავროდან სამურზაყანოს საბოქაულოში გლეხების გაქცევის აღსაკვეთად საჭირო იყო კონტროლის გაძლიერება გამყოფ ხაზზე; სამურზაყანოში გადასულ გლეხებს თუ შესაბამისი ნებართვები არ ექნებოდათ, ისინი სამეგრელოში უნდა გაესახლებინათ (ფონდი 4ა: 1-2).

საარქივო საქმიდან არ ჩანს, დააბრუნეს თუ არა სამურზაყანოში გაქცეული გლეხები უწინდელ საცხოვრებელ ადგილებში, საკითხზე დამატებითი მასალის არარსებობის გამო ვარაუდების გამოთქმაც რთულია. მიუხედავად ამისა, ჩვენი დაკვირვებით, სიაში მოხსენიებული ზოგიერთი გვარსახელი მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სამეგრელოში ან საერთოდ არ დასტურდება. მაგალითად, დღეს მცირერიცხოვანი გვარსახელებია: მიქანძე, ბეშია, ბჟინავა, ივარდავა, კაკუბერი, ტოტოჩია. ზოგიერთი გვარსახელი - მიქანძე, ფარცვანია, ჯახუა, კაკუბერი, - საერთოდ არ ცხოვრობს სიაში დასახელებულ სოფლებში, ხოლო გვარსახელები - ანარკია, რაჭველიძე, უჯროშვილი, ჭიქაშვილი - დღეს სამეგრელოში საერთოდ არ გვხვდება. ყოველივე ეს გვაძლევს ზოგადი ვარაუდის საფუძველს: 1. შესაძლოა, დღეს სამეგრელოში მოსახლე დასახელებულ გვარსახელთა ნამლევობა (მცირერიცხოვნობა) გამოწვეული იყოს სწორედ ამ გადასახლებით; 2. დღეს სამეგრელოში ზოგიერთი ამ გვარსახელის არდაფიქსირება ან კომპაქტურად დასახლება იმავე სოფლებში, შესაძლოა ამ მიგრაციის მიზეზი იყოს; 3. ზოგიერთი გვარსახელის საერთოდ არარსებობა სამეგრელოში უფრო დანამდვილებით მიუთითებს იმაზე, რომ ისინი არ დაბრუნებულან ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში. სამწუხაროდ, დღეს აფხაზეთში, მათ შორის ისტორიულ სამურზაყანოში მოსახლე გვარსახელებზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში განმაზოგადებელი ნაშრომი არ არსებობს, ამიტომ ეს აძნელებს საკითხზე უფრო გამოკვეთილი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

დასკვნები

კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ მიგრაციული პროცესები სამეგრელოს სამთავროში, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებს შორის, საუკუნეების განმავლობაში მუდმივად ხდებოდა. ამჯერად, წარმოდგენილი საარქივო მასალა, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარს მოიცავს, გვამცნობს, რომ გლეხთა გადასახლება სამეგრელოს სამთავროს ერთი მხარიდან მეორეში, ოდიშიდან სამურზაყანოში, შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებისას და შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ სიაში მხოლოდ 70 გვარსახელზე გვაქვს ინფორმაცია, შესაძლოა საკმაოდ მასიური ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ სიაში მთელი რიგი კომლებია დასახელებული. ბევრი მათგანი შესაძლოა დაუბრუნდა ადრინდელ საცხოვრისს, მაგრამ ერთი ნაწილის ახალ საცხოვრისში დარჩენა უფრო სავარაუდოა. ვფიქრობთ, ეს მნიშვნელოვანი მასალაა იმ პერიოდის ოდიშისა (სამეგრელო) და სამურზაყანოს (ამჟამინდელი აფხაზეთი) ეთნო-დემოგრაფიული და რიგ შემთხვაში ეთნო-გენეტიკური (გვარსახელების როგორც გენეტიკური მარკერის) ისტორიის შესასწავლად.

სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (FR-22 - 2330) ფარგლებში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

berdzenishvili, n. dondua, v. dumbadze, m. melikishvili, g. meskhia, s. ratiani, p. (1958). *sakartvelos istoria.* I. tbilisi: gamomtsemloba ,,sabchota sakartvelo". (ბერძენიშვილი, ნ. დონდუა, ვ. დუმბაძე, მ. მელიქიშვილი, გ. მესხია, შ. რატიანი, პ. (1958). *საქართველოს ისტორია.* I. თბილისი: გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო".

borozdini k. (1903) imeretis dedofali mariami. gazeti ,,*iveria*". #183. (ბოროზდინი, კ. (1903). იმერეთის დედოფალი მარიამი. გაზეთი ,,*ივერია*". #183.

tskhadaia, p. (2007). *samegrelos geografiuli sakheltsodebani. II. zugdidis raioni.* tbilisi: gamomtsemloba ,,universali". (ცხადაია, პ. (2007). *სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. II. ზუგდიდის რაიონი.* თბილისი: გამომცემლობა ,,უნივერსალი").

dadiani, n. (1962). *kartvelt tskhovreba.* tbilisi: sakartvelos ssr metsnierebata akademiis gamomtsemloba. (დადიანი, ნ. (1962). *ქართველთ ცხოვრება.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.).

guruli, v. 2017. *saqartvelos akhali istoria (1801-1918).* I. tbilisi: gamomtsemloba ,,kartuli universiteti". (გურული, ვ. (2017). *საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918*). I. თბილისი: გამომცემლობა ,,ქართული უნივერსიტეტი").

khorava, b. 1996. *odish-apkhazetis urtiertoba XV-XVIII ss.* Tbilisi: gamomtsemloba "kera-XXI". (ხორავა, ბ. (1996). *ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს.* თბილისი: გამომცემლობა ,,კერა - XXI").

khorava, b.(2007). *afkhazeti 1810-1880 tslebshi. narkvevebi sakartvelos istoriidan. apkhazeti.* tbilisi: gamomtsemloba ,,inteleqti". (ხორავა, ბ. (2007). *აფხაზეთი 1810-1880 წლებში. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი.* თბილისი: გამომცემლობა ,,ინტელექტი").

lemonjava, d. (1957). *glekhta ajanqeba samegreloshi 1856-1857.* tbilisi: saqartvelos ssr mecnierebata akademiis gamomtsemloba. (ლემონჯავა, დ. (1957). *გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა).

eliava, g. (1977). *abashisa da gegechkoris raionebis toponimika.* tbilisi: gamomtsemloba ,,metsniereba". (ელიავა, გ. (1977). *აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა.* თბილისი: გამომცემლობა ,,მეცნიერება").

fondi 4. saqartvelos erovnuli arkivi. centraluri saistorio arkivi. fondi 4. aghtsera 1. sakme 652. (ფონდი 4. საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 4. აღწერა 1. საქმე 652.).

fondi 4a. sakartvelos erovnuli arkivi. tsentraluri saistorio arkivi. fondi 4. aghtsera 1. sakme 652. (ფონდი 4ა. საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 4. აღწერა 1. საქმე 874.).

istoriuli dokumentebi. (1953). ts. I. imeretis samepos politikuri sabutebi (1784-1810). teqsti shenishvnebita da sadzieblebit gamosatsemad moamzada sh. burjanadzem. tbilisi: sakartvelos ssr metsnierebata akademiis gamomtsemloba. (ისტორიული

დოკუმენტები. (1953). წ. I. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810). ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა).

sosiashvili, g. (2021). ,,shavi chiris“ epidemia sakartveloshi XIX saukunis I nakhevarshi. kartuli tsqarotmtsodneoba. XXIII. tbilisi. (სოსიაშვილი, გ. (2021). ,,შავი ჭირის“ ეპიდემია საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში. ქართული წყაროთმცოდნეობა. XXIII. თბილისი).

chavchavadze, a. (1986). tkhzulebebi. tbilisi: gamomcemloba ,,merani”. (ჭავჭავაძე, ა. (1986). თხზულებები. თბილისი: გამომცემლობა ,,მერანი“.)